საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-112

28/02/2018

ქ. თბილისი

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“-ს მიერ 110 კვ-იანი ეგხ „მარანი“-ს (რეკონსტრუქცია/მშენებლობის და ექსპლუატაციის) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ქ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილია ქ. გარდაბნის მუნიციპალიტეტში შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“-ს 110 კვ-იანი ეგხ „მარანი“-ს რეკონსტრუქცია/მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება შემდეგი:
შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“-ს მიერ დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ გარდაბნის მიმდებარე ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე.

ქ. გარდაბანში თბილსრესის ტერიტორიაზე გამავალი 110 კვ. ელექტროგადამცემი ხაზი ,,მარანი“–ს №8 – №18 საყრდენებს შორის არსებულ მონაკვეთზე დაგეგმილია ,,საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცი“-ის საწყობის მშენებლობა, რის გამოც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება №8 – №18 საყრდენებს შორის ტრასის შეცვლა. სადემონტაჟო ტრასის საერთო სიგრძე 2,667 მ-ს შეადგენს.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განხილულია საპროექტო ანძების განთავსების ტერიტორიის ეკოლოგიური მდგომარეობა, კლიმატურ-მეტეოროლოგიური, გეოლოგიური და სეისმური პირობები. ბიომრავალფეროვნების მხრივ, საპროექტო ხაზის მთელი ტერიტორია და მისი მიმდებარე ტერიტორია ათეული წლების განმავლობაში განიცდიდა მაღალ ტექნოგენურ და ანთროპოგენურ დატვირთვას, ამიტომ ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ გავრცელებულია მხოლოდ ხელოვნურად გაშენებული ხე-მცენარეები. გეოლოგიური დარაიონების მიხედვით ქ. გარდაბანი ეკუთვნის ქვემო ქართლის ბარს. საკვლევი ტერიტორია განლაგებულია მარნეული-გარდაბნის ფოროვანი და ნაპრალოვანი წყლების არტეზიული აუზის და თბილისის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან - კარსტული წყლების წყალწნევითი სისტემის საზღვარზე.

საქმიანობის პროცესში მოსალოდნელია როგორც საყოფაცხოვრებო ნარჩენების, ასევე მცირე რაოდენობის საწარმოო ნარჩენების წარმოქმნა. მშენებლობის დროს წარმოქმნილი ნარჩენები დროებით დასაწყობდება მოხდება სამშენებლო მოედნებზე სპეციალურად მოწყობილ კუთხეში, და სამშენებლო სამუშაოებს დასრულებისას გატანილი იქნება ტერიტორიიდან. აღნიშნული ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა მოხდება სპეციალური ნებართვის მქონე კომპანიებთან ხელშეკრულების საფუძველზე.

აღნიშნული გზშ-ს ანგარიში განიხილა შესაბამისმა ექსპერტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით (ბიომრავალფეროვნების,

გეოლოგიის და დაბინძურების) რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №9; 26.02.2018 და მიენიჭოს საქმიანობის განხორციელების უფლება შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“-ს 110 კვ-იანი ეგხ „მარანი“-ს (რეკონსტრუქცია/მშენებლობის და ექსპლუატაციის) ქალაქ გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“-მ საქმიანობა განახორციელოს გადაწყვეტილებით (№9; 26.02.2018) გათვალისწინებული შემდეგი პირობების დაცვით;
   3.1 საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების შესაბამისად;
   3.2 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება შეთანხმება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს #211 ბრძანების შესაბამისად.
   3.3 საწარმომ ნარჩენების მართვა უზრუნველყოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად.
   3.4 სამშენებლო სამუშაოების განხორციელება უზრუნველყოს ,,ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;
   3.5 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით.
4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“-ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი